ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება
აფხაზეთის ორგანიზაცია
საისტორიო ძიებანი, 7, 2004

კ რ ი ტ ი კ ა , ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ზურაბ პაპასქირი

საინტერესო ნაშრომი „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაზე

რეცენზია
შალვა გლოველის საკანდიდატო დისერტაციაზე:
„აფხაზთა სამეფო“

„აფხაზთა“ სამეფოდ წოდებული დასავლურ-ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა-განვითარება, მისი ეთნო-კულტურული და პოლიტიკური ისტორიის საკითხები დიდი ხანია იქცევს მკვლევართა საგანგებო ყურადღებას. მართალია, ისტორიკოსთა არაერთი თაობის ნაყოფიერი მეცნიერული კვლევის შედეგად ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილია სრულიად ნათელი, ობიექტური, მეცნიერულად ყოველმხრივ არგუმენტირებული შეხედულება „აფხაზთა“ სამეფოს ეთნოკულტურულ და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ იერ-სახეზე, ნაჩვენებია მისი როლი და ადგილი საერთოქართულ პოლიტიკურ სამყაროში, მაგრამ ინტერესი აღნიშნული პრობლემის შემდგომი გაღრმავებული შესწავლისადმი ჯერ კიდევ დიდია, უკანასკნელ პერიოდში კი, შეიძლება ითქვას, ერთი-ორად გაიზარდა. ეს, პირველ რიგში, განაპირობა არა იმდენად მეცნიერულმა აუცილებლობამ, რამდენადაც პოლიტიკურმა ფაქტორებმა. კერძოდ, აფხაზური სეპარატისტული ე.წ. „ისტორიოგრაფიის“ მხრიდან „აფხაზთა“ სამეფოს თემით გაუთავებელმა სპეკულირებამ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოს-პოლიტიკოსები ყოველნაირად ცდილობენ თავს მოახვიონ საზოგადოებას ფალსიფიკატორული თეზისი იმის შესახებ, რომ „აფხაზთა“ სამეფო იყო არა ქართული პოლიტიკური გაერთიანება, არამედ აფხაზური ნაციონალური სახელ-

მწიფო, რომლის სამართალმემკვიდრეს თითქოს წარმოადგენს ამ-ჟამინდელი აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა. აფხაზური სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის“ ეს მტკიცება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ის იმდენად საფუძველს მოკლებული და არასერიოზულია, რომ, ერთი შეხედვით, არც არის ღირსი აკა-დემიური პასუხისა. მაგრამ არც ის იქნებოდა გამართლებული, რომ საქართველოს მტრების ეს აღვირახსნილი „ისტორიოგრა-ფიული“ თარეში მთლად უპასუხოდ დაგვეტოვებინა. გარდა ამი-სა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თავისთავად არც ისტორიული მეცნიერებაა ერთ ადგილზე გაჩერებული და ნების-მიერი პრობლემა, მათ შორის თვით ყველაზე ამომწურავად და-მუშავებულიც კი, შემდგომ შესწავლას საჭიროებს. ასეთ პრობ-ლემათა რიცხვს მიეკუთვნება „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაც, რო-მელსაც ეძღვნება შალვა გლოველის სადისერტაციო ნაშრომი.

შ. გლოველის მიერ შესრულებული სამუშაო, მისივე სამართ-ლიანი შენიშვნით, წარმოადგენს „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიის მონოგრაფიულ გამოკვლევას. ამასთან, იმთავითვე უნდა აღვნიშ-ნოთ, რომ ეს ნამდვილად არ არის ამ პოლიტიკური ერთეულის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდა. ამგვარი სამუშაო კარ-გა ხანია ჩატარებულია. თავდაპირველად, პროფ. ზურაბ ანჩაბაძემ თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე სპეციალური თავი მიუძღვნა „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიას[1], ხოლო შემდგომ აკად. მარიამ ლორთქიფა-ნიძემ სადოქტორო დისერტაციაში ასევე ცალკე თავად გამოყო „აფხაზთა“ სამეფო[2]. ეს ორი ნაშრომი, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს „აფხაზთა სამეფოს“ ისტორიის ყოველმხრივი, მონო-

---

[1] **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, გვ. 95-159.

[2] **მ. ლორთქიფანიძე.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გა-ერთიანება. თბ., 1963, გვ. 176-200; მ. ლორთქიფანიძის ეს ნაშრომი, როგორც ცნობილია, გადამუშავებული სახით შესულია „საქართვე-ლოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომის ქართულ (**მ. ლორთქიფანი-ძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. II. თბ., 1973, გვ. 416-445) და რუსულ (**М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств. – წგნ.: *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988, გვ. 280-306) გამოცემებში.

გრაფიული შესწავლის პირველ ცდად. მათში დასმული და სათანადო მეცნიერული კომპეტენტურობითაა განხილული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიის ყველა საკვანძო საკითხი. გარდა ამისა, „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიის ცალკეული საკითხები საფუძვლიანადაა დამუშავებული სხვა ქართველ მკვლევართა შრომებშიც[3].

ყოველივე ეს, ბუნებრივია, რამდენადმე ართულებდა ახალგაზრდა მკვლევარის მუშაობას, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი ამ სირთულეს და შეძლო ორიგინალური ნაშრომის შექმნა „აფხაზთა“ სამეფოზე.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავისა (ამათგან მე-5 თავი დაყოფილია 5 პარაგრაფად) და დასკვნისაგან. ნაშრომს დართული აქვს დამოწმებული საისტორიო წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი სია (სულ 337 დასახელების), რომელშიც შესულია გამოცემები ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

შესავალში მოცემულია საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება. აქვე მოკლედაა მიმოხილული პრობლემის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა. ნაშრომის პირველ თავში გადმოცემულია „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნის ისტორია. დისერტანტი სწორად აღნიშნავს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პოლიტიკური ერთეულის სახელწოდებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიდგომაა და „ეგრის-აფხაზეთის სამეფოსა“[4] და „ლიხსიქეთის სამეფოსთან“[5] შედარებით სავსებით მართებულად უპირატესობას ანიჭებს სახელწოდებას – „აფხაზთა სამეფო“. ერთია მხოლოდ, ჩვენ ვთვლით, რომ მოცემულ სახელწოდებაში წინწკლებში უნდა მოვაქციოთ არა გამოთქმა – „აფხაზთა სამეფო“ მთლიანად, როგორც ეს თითქმის საყოველთაოდაა მიღებული ისტორიოგრაფიაში, არამედ მხოლოდ სიტყვა „აფხაზთა“. „აფხაზთა“ სამეფოს მთლიანად წინწკლებში მოქ-

---

[3] **ზ. ჰაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე.* თბ., 2004, გვ. 37-55. იქვე შესაბამისი ლიტერატურა.

[4] **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების.., გვ. 341.

[5] **ა. აბდალაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ., 1988, გვ. 41.

ცევით ჩვენ ერთგვარად, ეჭვის ქვეშ ვაყენებთ თვით სამეფოს არსებობის რეალურობას. არადა, ამ შემთხვევაში სწორედ სიტყვა „აფხაზთა“ არ შეესაბამება თავის რეალურ შინაარსს და საჭიროებს დამატებით განმარტებას, რის გამოც აუცილებელია მისი წინწკლებში ჩასმა. რაც შეეხება სიტყვა „სამეფოს“ ან „მეფეს“ (გამოთქმა „აფხაზთა“ მეფე-ში), აქ ყველაფერი გარკვეულია – „აფხაზთა“ სამეფო ნამდვილად იყო სამეფო, რომელსაც მართავდა მეფის ტიტულის მატარებელი სუვერენული ხელმწიფე.

ნაშრომის ამ თავში დისერტანტი საკმაოდ დაწვრილებით მიმოიხილავს დასავლეთ საქართველოში VIIIს. 30-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ის სწორად აღნიშნავს, რომ მირისა და არჩილის მოღვაწეობა იყო დასაწყისი „ქართული სახელმწიფოს ახალი ფორმით“ აღდგენისა. ასევე მართებულია დასკვნა აფხაზეთის ერისთავის – ლეონ I-ის არჩილთან ვასალურ ურთიერთობაში შესვლის შესახებაც, მაგრამ ვერ გავიზიარებთ დისერტანტის დასკვნას თითქოს ეს ყოფილიყოს უბრალოდ „ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება“, რომელიც მოგვიანებით დაედო დასავლეთ საქართველოში ახალი ქართული სახელმწიფოს (იგულისხმება „აფხაზთა“ სამეფო) შექმნას. აქ ჩვენ საქმე გვაქვს უფრო დიდ მოვლენასთან – ბიზანტიის ხელდებული მხარის – აფხაზეთის ინტეგრირებასთან საერთო-ქართულ (ანუ ქართლ-ეგრისის) პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში.

საინტერესოა დისერტანტის დაკვირვებები „აფხაზთა“ სამეფოს შექმნის დროის შესახებ. ის მხარს უჭერს ლეონ II-ის გამეფების ვახუშტისეულ დათარიღებას (786წ.)[6] და „აფხაზთა“ სამეფოს შექმნას ისტორიოგრაფიაში მიღებული VIIIს. მიწურულის ნაცვლად[7] VIIIს. 80-იანი წლებით ათარიღებს. სავსებით სწორია შ. გლოველის ხაზგასმა იმაზე, რომ „აფხაზეთის ერისთავის“ ეგიდით „ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება გამოწვეული იყო საერთო ინტერესებით“ და რომ გაერთიანებისას ეგრის-აფხაზეთს

---

[6] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება,* ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. თბ., 1973, გვ. 127, 795-796.

[7] **С. Н. Джанашия.** О времени и условиях возникновения Абхазского царства. – წგნ.: **ს. ჯანაშია.** შრომები. II. თბ., 1952, გვ. 339.

შორის რაიმე სერიოზულ დაპირისპირებას არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა. მკვლევარი ასევე მართებულად მიიჩნევს „დიდ შეცდომად“ იმის მტკიცებას, თითქოს ლეონ II-ს ხაზარები ეგრისის დასაპყრობად გამოეყენებინოს. ასევე სწორია დისერტანტის განმარტება, რომ ქართველი მემატიანე „დაპყრობაში“ გულისხმობს ხელისუფლების აღებას „დაუფლებას“ უკვე გაერთიანებულ ეგრის-აფხაზეთში და არა აფხაზეთის მიერ ეგრისის დაპყრობას, როგორც ეს სურს წარმოაჩინოს ზოგიერთ აფხაზ ისტორიკოსს[8].

რაც შეეხება დისერტანტის მტკიცებას, თითქოს უკვე ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების ქვეშ (VIIIს. 80-იანი წლების დამდეგისათვის), იყო ანტიბიზანტიური აქტი და ის არ შეიძლებოდა მომხდარიყო იმპერიის სანქციით, ეს, ჩვენი აზრით, მეტ არგუმენტაციას მოითხოვს. ამ შემთხვევაში, არ მიგვაჩნია მთლად გამართლებულად აქცენტის გაკეთება ბიზანტიის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითარებულ კრიზისულ მოვლენებზე (ხატმებრძოლეობა), რითაც თითქოს ისარგებლა აფხაზეთის ერისთავმა და კონსტანტინოპოლის სურვილის საწინააღმდეგოდ გააერთიანა ეგრის-აფხაზეთი თავისი ხელისუფლების ქვეშ. ჩვენი აზრით, ამ მოვლენის შეფასებისას, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იქნეს არა ბიზანტიის იმპერიის შიგნით მიმდინარე მოვლენები, არამედ ვითარება საერთაშორისო არენაზე, კერძოდ კი ბიზანტია-არაბების დაპირისპირების ხასიათი და ქართული პოლიტიკური სამყაროს ადგილი ამ დაპირისპირებაში. თუ ამ რეალობიდან გამოვალთ, სრულიად ცხადი ხდება, რომ VIIIს. 60-იანი წლებიდან მაინც, არა თუ არჩილის „სამეფო“ სახლი, რომლის წევრიც გახდა VIIIს. 30-იან წლებში „ერისთავი კეისრისა“ ლეონ, არამედ, როგორც ჩანს, თვით არაბების მიერ აღზევებული ადარნასე ბაგრატიონის ხელისუფლება განუდგა სახალიფოს და პრობიზანტიურ ორიენტაციას დაადგა (ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ადარნასე ბაგრატიონის კურაპალატის ტიტულით მოხსენიება). როგორც ცნობილია, ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდა ნერსე ერისთავი, რომელსაც გამოკვეთილი ანტიარაბული პოლიტიკის გამო ხალიფამ საერთოდ ჩა-

---

[8] **М. М. Гунба.** Абхазия в I тысячелетии. *Социально-экономические и политические отношения.* Сухуми, 1989, გვ. 243.

მოართვა ერისმთავრის ტახტი. ასეთ მკვეთრად გამოხატული ანტიარაბული კონიუნქტურის პირობებში ძნელი წარმოსადგენია, ვივარაუდოთ რაიმე კონფრონტაცია ბიზანტიასა და ქართულ პოლიტიკურ სამყაროს შორის (ამას ფაქტობრივად გამორიცხავს იოვანე საბანისძის თხზულების საერთო სულისკვეთება). აფხაზეთის ერისთავის მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით გაბატონება კი, ჩვენი აზრით, მოხდა იოვანე არჩილის-ძის (რომელიც ეგრისის მმართველად ითვლებოდა) გარდაცვალების შემდეგ და ეს მთლიანად სტეფანოზ-არჩილის „სამეფო“ სახლის შიდა დინასტიური მოვლენა იყო. ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ არაა აუცილებელი ეგრის-აფხაზეთის აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების ქვეშ მოქცევა, რომელიც VIIIს. დამდეგისათვის ნამდვილად მომხდარი ფაქტია, განვიხილოთ ანტიბიზანტიურ აქტად. სხვა საქმეა ამ გაერთიანებული ქვეყნის მეთაურის ლეონ II-ის განდგომა იმპერიისაგან და მის მიერ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ატრიბუტის – მეფის ტიტულის მიღება, რომელიც, მართლაც ერთნიშნად, ურტყამდა კონსტანტინოპოლის ინტერესებს.

სადისერტაციო ნაშრომის მე-2 თავი ეძღვნება „აფხაზთა“ სამეფოს საზღვრებსა და ტერიტორიულ დაყოფას. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული „აფხაზთა“ სამეფოს სამხრეთ საზღვარზე და ამასთან დაკავშირებით საგანგებოდაა გაანალიზებული „აბო ტფილელის მარტვილობისა“ და სხვა წყაროთა მონაცემები ტრაპეზუნტის მხარის „აფხაზთა“ სამეფოსადმი დამოკიდებულების შესახებ. ავტორი, ჩვენი აზრით, საკმაო დამაჯერებლობით ასაბუთებს იმას, რომ „აბო ტფილელის მარტვილობის“ შესაბამისი ცნობა გულისხმობს ტრაპეზუნტისა და მისი შემოგარენის მოქცევას „აფხაზთა“ სამეფოს ფარგლებში.

ამავე თავში, ხაზგასმულია, რომ შიდა ქართლზე „აფხაზთა“ სამეფოს კონტროლის დამყარების შემდეგ „ქართლის ერისთავად“ დაინიშნა ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე, რაც დისერტანტის მართებული შენიშვნით ამ რეგიონის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ შიდა ქართლის მართვის სადავეების უფლისწულებისათვის ჩაბარების ტრადიცია, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ IXს. 60-იანი წლებიდან „აფხაზთა“ მეფის გიორგი I „აღწეფელის“ დროიდან იღებს სა-

თავეს და ამის აღნიშვნაც იყო საჭირო. ამასთან უშუალოდაა დაკავშირებული ე.წ. – „ჩიხის საერისთავოსა“ და „ჩიხის ერისთავის“ სტატუსის საკითხი. დისერტანტი იხილავს „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობას „აფხაზთა“ მეფე გიორგი I-ის მიერ ქართლის დაპყრობისა და „ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი“-ს დატოვების შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ამ ცნობაში დაფიქსირებულ ერისთავად მიიჩნევენ ბაგრატ დემეტრეს ძეს გიორგი I-ის ძმისწულს[9], რომელიც მოგვიანებით, იმავე ქრონიკის ცნობით, გიორგი I-ის ქვრივმა და იოანე შავლიანმა „შთააგდეს... ზღვასა“ და სასიკვდილოდ გაწირეს.

შ. გლოველი უკრიტიკოდ იღებს ამ თვალსაზრისს და ასევე ასკვნის, რომ ჩიხას დატოვებული ერისთავი არის ბაგრატ დემეტრეს ძე. ჩვენ არა ვართ დარწმუნებული, რომ „ძე დემეტრესი“, რომელიც გიორგი I-მა „დაუტევა ერისთავად ჩიხას“ და „ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით“ მაინცდამაინც ერთი და იგივე პიროვნებაა. „მატიანე ქართლისაჲ“-ს აღნიშნული ცნობა, ჩვენი აზრით, არ გვაძლევს ამის ასე დაბეჯითებით მტკიცების საშუალებას. თვალსაჩინოებისათვის საჭიროდ მივიჩნევთ მოვიყვანოთ „მატიანეს“ ტექსტის შესაბამისი ნაწილი სრულად: „მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი, და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორია-ქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთააგდეს ბაგრატ ზღუასა. ხოლო ღმერთმან განარინა იგი, და მიიწია ქალაქად კოსტანტინეპოლედ“.[10] ჩვენი აზ-

---

[9] **ი. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ., 1965, გვ. 100; **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII. თბ., 1990, გვ. 354; **მ. ლორთქიფანიძე**. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება.., გვ. 517; **მ. ბახტაძე**. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003, გვ. 127.

[10] **მატიანე ქართლისა**. – *ქართლის ცხოვრება.* ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. თბ., 1955, გვ. 258.

რით, აქ აშკარად დემეტრე „აფხაზთა“ მეფის ორ ძეზეა საუბარი. აქედან ერთია ის, რომელიც გიორგი I-მა „დაუტევა ერისთავად ჩიხას“ და რომელიც მოკლა გიორგი I-ის ქვრივმა, ხოლო მეორე, რომელიც ჯერ კიდევ იყო მცირეწლოვანი და „რომელსაც ერქუა ბაგრატ“. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტის ამგვარ გაგებას უჭერს მხარს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც სრულიად გარკვევით წერს, რომ: „ჟამსა ამას გამოვიდა მეფე აფხაზთა და დაიპყრა ქართლი და **დაუტევა ერისთავად ჩიხას ტინენ ძე დიმიტრისა**. ხოლო შემდგომად, გარდაიცვალა რა გიორგი მეფე აფხაზთა, **ცოლმან მისმან მოკლა ტინენ ძე დიმიტრისა** და ეცრუა იოანე მთავარსაცა და **შთააგდეს ძე დიმიტრისავე ბაგრატ ზღუასა შინა**“.[11] ამ ინფორმაციას კიდევ უფრო აზუსტებს ვახუშტი ბატონიშვილი თავისი თხზულების სხვა ადგილას. ის წერს: „ამისთჳს შეიპყრა (გიორგი I-ის ქვრივმა – **ზ.პ.**) **ძე დიმიტრისა ერისთავი ჩიხისა ტინენ და მოკლა იგი და უმრწემესი ძე დიმიტრისავე ბაგრატ მცირე ჰასაკითა ექსორია ჰყო** და მოგზაური ბაგრატ შთააგდეს ზღვასა შინა“.[12]

ამრიგად, ეჭვს გარეშეა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს ჰქონდა სავსებით მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, რომ დემეტრე „აფხაზთა“ მეფეს ჰყავდა ორი ძე: ერთი – ტინენ, რომელიც თავისმა ბიძამ „აფხაზთა“ მეფე გიორგი I-მა დანიშნა „ერისთავად ჩიხას“, ხოლო მეორე – უმრწემესი – ბაგრატ, რომელიც მცირეწლოვანი იყო. ვფიქრობთ, არა გვაქვს არავითარი საფუძველი არ ვენდოთ ვახუშტი ბაგრატიონის ამ დაზუსტებას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ადგილის ტრადიციული ინტერპრეტაცია უნდა გადაისინჯოს.

სადისერტაციო ნაშრომის ამავე თავში, დისერტანტი სავსებით მართებულად იზიარებს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გიორგი I-ის მიერ ქართლის დაპყრობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რეგიონზე „აფხაზთა“ მეფის მტკიცე ძალაუფლების დამყარებას[13].

---

[11] **ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა.., გვ. 131. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**
[12] **ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა.., გვ. 797. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**
[13] **დ. მუსხელიშვილი**. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. თბ., 1980, გვ. 184.

უაღრესად საინტერესოა სადისერტაციო ნაშრომის მე-3 თავი, რომელშიც დადგენილია „აფხაზთა“ მეფეების ქრონოლოგიური რიგი. მასში კრიტიკულადაა გაანალიზებული „აფხაზთა მეფეთა დივანი“-ს მონაცემები. სწორადაა შენიშნული, რომ ე.წ. „აფხაზთა“ მეფეთა დინასტია არ შეიძლება იყოს ლაზეთის მთავრების დინასტია, როგორც ამას ფიქრობდა პ. ინგოროყვა[14]. მაგრამ დისერტანტის მცდელობა გადასინჯოს იმავე პ. ინგოროყვას თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ლეონ I-ის შემდეგ აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში უნდა ყოფილიყვნენ თეოდორე I და კონსტანტინე II[15] (ამ სქემას მხარს უჭერდა ზ. ანჩაბაძეც)[16], ჩვენი აზრით, მთლად დამაჯერებელი არ არის. ამ შემთხვევაში მითითება ქართულ წყაროებზე (იგულისხმება „მატიანე ქართლისაჲ“) არაფერს იძლევა. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი მხოლოდ ლეონ I-ისა და ლეონ II-ის ნათესაურ კავშირს აფიქსირებს და სულაც არ ამბობს იმას, რომ ლეონ II მაინც და მაინც თავისი ბიძის ლეონ I-ის შემდეგ მოვიდა ქვეყნის სათავეში. „მატიანე ქართლისაი“-მ ლეონ II-ის მაინც და მაინც ლეონ I-ის ძმისწულობაზე იმიტომ გაამახვილა ყურადღება, რომ თავისი, როგორც ჩანს ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობით, სწორედ ის იყო უფრო ცნობილი ქართული საზოგადოებისათვის. რაც შეეხება მის მომდევნო მთავრებს – თეოდორესა და კონსტანტინეს (ამ უკანასკნელის რეალურობა ეჭვს არ იწვევს), მათი ყოფნა ხელისუფლების სათავეში, ეტყობა არც ხანგრძლივი ყოფილა და არც რაიმეთი ღირშესანიშნავი. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება არ დაგვაფიქროს იმანაც, რომ იოვანე საბანისძე, რომელიც არ იშურებს საქებარ სიტყვებს აფხაზეთის მთავრის მისამართით, რატომღაც არ გვამცნობს მის ვინაობას. ვფიქრობთ, ეს მთავარი ლეონ I, რომ ყოფილიყო, „აბო ტფილელის მარტვილობის“ ავტორი, ამას აუცილებლად აღნიშნავდა.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში დისერტანტი ყურადღებას ამახვილებს თანამეფობის ინსტიტუტზე „აფხაზთა“ სამეფო-

---

[14] **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე. *ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა.* თბ., 1954, გვ. 192-193.

[15] **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე, გვ. 193.

[16] **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии.., გვ. 78.

ში. ამ თვალსაზრისით უდავოდ ფასეულია მისი დაკვირვებები „ფავნელის დაწერილის“ მონაცემებზე. აქვე შ. გლოველი მსჯელობს „მეფეთა დივანის“ დოსითეოსისეულ ნუსხაში დაფიქსირებულ მეფე „ანტარნასე-დავითზე“ და გვთავაზობს მეტად საინტერესო ჰიპოთეზას, მასში ვიგულისხმოთ დავით III დიდი კურაპალატი.

სარეცენზიო გამოკვლევის IV თავში დისერტანტი თანმიმდევრულად გადმოგვცემს ქვეყნის გაერთიანებისათვის ქართული პოლიტიკური გაერთიანების ბრძოლის ისტორიას და წარმოაჩენს „აფხაზთა“ სამეფოს როლსა და ადგილს ამ პროცესში. ნაშრომში სწორადაა შენიშნული, რომ ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის მიმდინარე ბრძოლაში წარმართველი საკუთრივ საქართველოს გაერთიანების იდეა არ ყოფილა, არამედ ეს იყო სწრაფვა სამეფო-სამთავროთა საზღვრების გაფართოებისა და ჰეგემონობისათვის. ასევე სწორია დასკვნა იმის შესახებ, რომ ცალკეულ სამეფო-სამთავროებში იყვნენ ქვეყნის გაერთიანებისა და ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნის მოსურნე ძალები, თუმცა ვერ დავეთანხმებით დისერტანტის აზრს თითქოს ამ ძალების „ძირითადი ბირთვი“ შიდა ქართლში ყოფილიყოს. ამ თვალსაზრისით იოანე მარუშის ძის პიროვნებაზე ყურადღების გამახვილება არაფერს არ იძლევა, ვინაიდან ის შიდა ქართლის არისტოკრატიის ლიდერი არ იყო და არც შიდა ქართლი წარმოადგენდა მის „საკუთარ სამფლობელოს“, როგორც ამას შეცდომით აღნიშნავს შ. გლოველი. იოანე მარუშის ძე იყო ქუთაისის ტახტის, ანუ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი რეგიონში. ის ფაქტობრივად ასრულებდა მეფისნაცვლის ფუნქციას, რაც შეეხება შიდა ქართლის არისტოკრატიას, ის არა თუ არ იყო გამაერთიანებელი მოძრაობის (რომლის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო იოანე მარუშის ძე), ავანგარდში, არამედ, პირიქით, ფაქტობრივად, ერთიანად გამოდიოდა ბაგრატ უფლისწულის ხელისუფლების ქვეშ სრულიად საქართველოს გაერთიანების მარუშის ძისეული გეგმის წინააღმდეგ.

ჩვენ სწორად მიგვაჩნია დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ ბაგრატის 975 წელს უფლისციხეში დასმით იოანე მარუშის ძესა და დავით კურაპალატს სულაც არ უცდიათ შიდა ქართლის „აფხაზთა“ სამეფოსაგან გამოყოფა და ახალი სახელ-

მწიფოს შექმნა, როგორც ამას ფიქრობს გ. მჭედლიძე,[17] მაგრამ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ დემეტრე „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქუთაისის ტახტზე თეოდოსი უსინათლოს დასმა იოანე მარუშის ძის დასის ძალისხმევით მოხდა და რომ ეს თითქოს მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე „ლეონიდების“ დინასტიის შენარჩუნებას, რათა შემდგომ ამ დინასტიის წარმომადგენელს (დედის ხაზით) ბაგრატ უფლისწულს ჰქონდა „აფხაზთა“ მეფის ტახტის დაკავების ლეგიტიმური უფლება.

ჯერ ერთი, არსაიდან ჩანს, რომ ამ დროს ქუთაისის ტახტის მიტაცებას ლამობდა მაინც და მაინც სხვა საგვარეულოს წარმომადგენელი და მეორეც, უშუალოდ თეოდოსი უსინათლოს ქუთაისში გამეფების შემდგომ განვითარებულ მოვლენათა მსვლელობიდან, ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ იოანე მარუშის ძის გეგმა პირველ რიგში, მიმართული იყო სწორედ ქუთაისის ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ საკითხებზე ჩვენ სხვაგან გვაქვს საგანგებო მსჯელობა[18] და ამიტომ ამჯერად თემის გაშლისაგან თავს შევიკავებთ. რაც შეეხება დისერტანტის მიერ დასმულ კითხვას, თუ რატომ პირდაპირ (ანუ უშუალოდ დემეტრე „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ – **ზ.პ.**) არ მოითხოვეს ბაგრატი მეფედ „აფხაზეთისა“, ვფიქრობთ, ეს არც თუ ისე ადვილი საქმე იყო, ვინაიდან, წესით ტახტი დემეტრე მეფის გარდაცვალების შემდეგ, პირველ რიგში, სწორედ მის ძმას ეკუთვნოდა და არა დისწულს. ამიტომ, ბუნებრივია, იოანე მარუშის ძე და დავით კურაპალატი იმთავითვე მოერიდებოდნენ ზედმეტ გართულებებს და მართლაც დაელოდებოდნენ ბაგრატის ქუთაისის ტახტზე „კანონიერ“ მოსვლას. მაგრამ მოვლენების ფორსირება

---

[17] **გ. მჭედლიძე.** ბაგრატ მესამის საქართველო. ქუთაისი, 1996, გვ. 478.

[18] **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა. – წგნ.: *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები,* ტ. I. თბ., 1998, გვ. 210-212; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი საერთაშორისო დიპლომატიური უზრუნველყოფა. – წგნ.: *ქართული დიპლომატიის ისტორია.* თბ., 2003, გვ. 136; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида. *Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* Тб., 2001, გვ. 17-19.

გამოიწვია თეოდოსის უგერგილო მმართველობამ, უფრო მეტად კი მისმა პოლიტიკურმა გარიგებამ კახეთის ქორეპისკოპოსთან – კვირიკე II-სთან, რომლის ძალითაც, როგორც ჩანს, „აფხაზთა“ ახალი მეფე უთმობდა შიდა ქართლს თავის პარტნიორსა და მოკავშირეს. სწორედ ამ გარემოებებმა გადააწყვეტინა იოანე მარუშის ძესა და დავით კურაპალატს თეოდოსის სიცოცხლეშივე ბაგრატ უფლისწულის ტახტზე აყვანა და, სხვათა შორის, ისინი სულაც არ დალოდებიან ბაგრატის გასრულწლოვანებას, როგორც ამას ფიქრობს შ. გლოველი. ბაგრატი სრულწლოვანი შეიქნა მოგვიანებით, Xს. 80-იანი წლების დამდეგს, როდესაც მან გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯები შიდა ქართლის სეპარატისტული განწყობილებების აღსაკვეთად და იქ თავისი ერთპიროვნული ხელისუფლების განსამტკიცებლად. ამ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენ მთლად არგუმენტირებულად არ მიგვაჩნია დისერტანტის მცდელობა გადასინჯოს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბაგრატ III და მისი დედა გუარანდუხტ დედოფალი, რომელსაც 975 წლიდან „ეპყრა უფლისციხე და ქართლი“ „საქართველოს ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციისთვის მებრძოლი ძალების საპირისპირო ბანაკებში მოიაზრებიან“[19].

ჩვენ ასევე ვერ დავეთანხმებით შ. გლოველს იმაშიც, თითქოს გურგენ ბაგრატიონს „მეფეთ-მეფის“ ტიტული მიეღოს მხოლოდ იმიტომ, რომ „ქართველთა“ მეფის ტიტული ბაგრატ II-ის გარდაცვალების შემდეგ დავით III კურაპალატს ჰქონდა. მართალია, 994წ. დავით კურაპალატის მიერ „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღებას, გააჩნია საკმაოდ მყარი არგუმენტაცია[20] (თუმ-

---

[19] **ზ. ალექსიძე**. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978, გვ. 52-57; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 69-71.

[20] *ქართული წარწერების კორპუსი,* ლაპიდარული წარწერები. I. *აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო* (V-Xსს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა **ნ. შოშიაშვილმა**. თბ., 1980, გვ. 56; *ქართული წარწერების კორპუსი.* II. **დასავლეთ საქართველოს წარწერები**. ნაკვ. I (IX-XIIIსს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა **ვ. სილოგავამ**. თბ., 1980, გვ. 52-53; **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств.., გვ. 338-339.

ცა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც),[21] მაგრამ, ამ შემთხვევაში, მთავარია ის, რომ გურგენის მიერ „მეფეთა-მეფის“ ტიტულის მიღება არავითარ კავშირში არ იყო დავით კურაპალატის „ქართველთა მეფობასთან“. სუმბატ დავითის ძის სრულიად დამაჯერებელი განმარტებით, „გურგენს მეფეთ-მეფე ეწოდა“ იმის გამო, რომ გურგენის გამეფებამდე მისი ძე „ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს“[22].

მოცულობით ყველაზე ვრცელია სადისერტაციო ნაშრომის მე-5 თავი, რომლის სათაურია: „აფხაზთა სამეფოს“ შინაარსი“. მასში თანმიმდევრულად გაშუქებულია შემდეგი საკითხები: „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა; „აფხაზთა“ სამეფოსა და „აფხაზთა“ მეფეების რელიგიურ კულტურული პოლიტიკა; სენიორალური სისტემა „აფხაზთა“ სამეფოში; სამოხელეო ინსტიტუტები და ბოლოს, „აფხაზთა“ სამეფოს ეთნიკური შედგენილობის საკითხი. ამ თემების განხილვისას განსაკუთრებით გამოვყოფდით მსჯელობას ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს (744-750წწ.) მიერ იოანეს აფხაზეთის კათალიკოსად შესაძლო კურთხევის შესახებ. არანაკლებ საყურადღებოა დაკვირვებები სენიორალურ სისტემაზე, „მამასახლისისა“ და „გალატოზთაუხუცესის“ სამოხელეო ინსტიტუტებზე.

დისერტანტს საკმაოდ ვრცლადა აქვს მიმოხილული ეთნიკური ისტორიის საკითხები. ნაშრომის ამ ნაწილში სავსებით სწორადაა შენიშნული, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან მუდამ იყო ქართველთა საცხოვრისი, ამასთან, ის არ უარყოფს აწინდელ აფხაზთა წინაპრების მოსახლეობასაც, თუმცა სწორად მიიჩნევს, რომ დროთა განმავლობაში ისინი „შეერწყნენ ძირძველ ქართულ მოსახლეობას“. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ის კარგად არის გათვითცნობიერებული პრობლემის ირგვლივ არსებულ აზრთა სხვადასხვაობაში და საკმაოდ ტაქტიანად აკეთებს ამათუ იმ თვალსაზრისის ანალიზს. დასანანია მხოლოდ, რომ ძირითადად კარგად გაკეთებულ ისტო-

---

[21] **ზ. პაპასქირი**. ერთიანი.., გვ. 75-82.

[22] **სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონი**. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. – *ქართლის ცხოვრება*.., ტ. I, თბ., 1955, გვ. 382.

რიოგრაფიულ მიმოხილვაში ასახვა ვერ ჰპოვა აკად. დ. მუსხელიშვილის მიერ ამ უკანასკნელ ხანს გამოთქმულმა მოსაზრებამ აფსილ-აფშილთა ეთნიკური ვინაობის შესახებ[23].

არასწორადაა გაგებული XVIIIს. არაბი ავტორის იაკუთის ცნობა აფხაზეთზე. კერძოდ, დისერტანტი უკრიტიკოდ იღებს ზოგიერთი ისტორიკოსის[24] მიერ მოცემულ ამ ცნობის ინტერპრეტაციას და იაკუთის „აფხაზეთში“ შეცდომით გულისხმობს დღევანდელ აფხაზეთს. არადა, სრულიად ცხადია, რომ იაკუთი ამ შემთხვევაში საუბრობს „აფხაზეთზე“ ფართო გაგებით, ანუ სრულიად საქართველოზე, ქვეყანაზე, რომელიც ესაზღვრება „ბაბ ალ-ბაბს“ ანუ დარუბანდს. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კი, როგორც ცნობილია, ძალიან შორსაა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიიდან.

ასეთია შ. გლოველის სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი შინაარსი. როგორც ვხედავთ ავტორს ჩატარებული აქვს უაღრესად შრომატევადი სამუშაო. ფაქტობრივად ეს არის შეჯამება და კრიტიკული გააზრება „აფხაზთა“ სამეფოს ირგვლივ არსებული მთელი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობისა. მასში სათანადო მეცნიერული სიღრმითაა გაანალიზებული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიასთან დაკავშირებული ყველა საკვანძო პრობლემა. თვალში საცემია შ. გლოველის მისწრაფება შეიტანოს სიახლე ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის დადგენა-დაზუსტებასა და შეფასებაში. უმეტეს შემთხვევაში, მისი ეს მცდელობა უდავოდ წარმატებულია, თუმცა დისერტანტის ზოგიერთი მოსაზრება მოითხოვს უფრო დამაჯერებელ არგუმენტაციას. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი არ არის დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისაგან, მაგრამ მთლიანობაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის არის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევა, რომლის შედეგები უცილობლად ჰპოვებს სათანადო ასახვას ისტორიოგრაფიაში.

---

[23] **Д. Мусхелишвили.** Исторический статус Абхазии в грузинской государственности. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999, გვ. 122-123.

[24] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, გვ. 583; **თ. მიბჩუანი**. აფხაზეთის მეფეები და მთავრები. თბ., 1997, გვ. 56.